



მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №2
2022 წლის 11 თებერვალი
ქ. მარტვილი



„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 30/11/2021, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.109.016355) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ გ) მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება;“;

ბ) მე-4 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება;“;

გ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება ითალისწინებს:“;

დ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით.“;

ე) მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) დედ-მამით ობლის, მარჩენალდაკარგული მრავალშვილიანი (3 და მეტი შვილი, ერთ-ერთი მაინც 18 წლის) ოჯახის წევრის შემთხვევაში შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის, რომელსაც აქვს მინიჭებული 0-დან 65 000 -ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, შემთხვევაში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ამონაწერი, რომელშიც ოჯახის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილად მითითებული იქნება მარტვილის მუნიციპალიტეტი;“;

ვ) მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მოქალაქე (გარდა სრულწლოვანი დევნილისა), რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო უსახლკაროდ დარჩა და მარტოხელა დედის შემთხვევაში - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ოჯახის თითოეულ წევრზე (ბენეფიციარის და მისი ოჯახის წევრების) საკუთრებაში არ უნდა ფიქსირდებოდეს უძრავი ქონება;

ე) ოჯახს, რომლის საცხოვრებელი სახლი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარგისია, არ ფლობს სხვა საცხოვრებელ ფართს, გარდა დაზიანებული სახლისა, და არ ექვემდებარება აღდგენას) - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ოჯახის თითოეულ წევრზე (ბენეფიციარის საკუთრებაში უნდა ფიქსირდებოდეს უძრავი ქონება);

ვ) მარტოხელა დედა, ძალადობის მსხვერპლად აღიარებული პირის შემთხვევაში- შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;“;

ზ) მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. მოსახლეობის ერთჯერადი ფულადი დახმარების მისაღებად მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს.“;

თ) მე-6 მუხლის „ა.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.დ) საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ლევან სურმავა